



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

---

1959 • 50 • 2009

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ”  
(საჩივარი №40022/05)

გადაწყვეტილება  
სტრასბურგი

2009 წ. 16 ივლისი

**საბოლოო გახდა**  
**06/11/2009**

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებარეოს რედაქციულ გადასინჯვას.

## საქმეში: კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

*ფრანსუაზ ტულკენსი, პრეზიდენტი,*

*ირენეუ კაბრალ ბარეტო,*

*ვლადიმერო ზაგრებელსკი,*

*დანუტე იოჩინე,*

*დრაგოლიუბ პოპოვიჩი,*

*ანდრაშ შაიო,*

*ნონა ჩოჩორია, მოსამართლეები,*

და *სალი დოლე, სექციის განმწესრიგებელი;*

განხილა რა საქმე განცალკევებით 2009 წ. 23 ივნისს, იმავე დღეს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმის საფუძველია საქართველოს მოქალაქის, ბ-ნ *ლევან კობელიანის* („მომჩივანი“) მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, 2005 წ. 29 სექტემბერს სასამართლოში შეტანილი საჩივარი (№40022/05).

2. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდნენ ბატონები დავით თომაძე და ლევან მესხორაძე, იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2008 წ. 10 იანვარს მეორე სექციის თავმჯდომარემ გადაწყვიტა, ეცნობებინა მთავრობისათვის საჩივარის თაობაზე, რომელიც ეხებოდა სამართალწარმოების ხანგრძლივობას. იმავე დღეს, სასამართლომ კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის საფუძველზე გადაწყვიტა საჩივარის არსებითი მხარისა და მისაღებობის თანადროული განხილვა.

## ფაქტები

4. მომჩივანი დაბადებულია 1960 წელს და ცხოვრობს საქართველოში, კერძოდ ნინოწმინდაში.

5. 2000 წ. 20 ივლისს განმცხადებლის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე ეკონომიკური დანაშაულის ბრალდებით. სასამართლო პროცესამდე იგი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მოთავსდა.

6. 2001 წ. 30 ივნისს პროკურატურამ შეწყვიტა გამოძიება და საქმე განსახილველად ნინოწმინდის საოლქო სასამართლოს გადაუგზავნა. აღნიშნული

სასამართლოს რეესტრის მიხედვით საქმის მასალები სასამართლომ მიიღო 2001 წ. 12 ივლისს.

7. 2005 წ. 18 იანვარს ასპინძის საოლქო სასამართლომ, რომელსაც გადაეცა განმცხადებლის საქმე, უსაყვედურა პროკურორს საბრალდებო დასკვნაში არსებული ხარვეზების და განმცხადებლის საქმიანობის ფინანსური აუდიტის არჩატარების გამო, და საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად გაგზავნა. მიუხედავად ამისა, 2005 წ. 17 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა 2005 წ. 18 იანვრის გადაწყვეტილება და დაავალა პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის გაგრძელება. 2005 წ. 14 ივლისს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

8. 2006 წ. 11 აგვისტოს განაჩენით მომჩივანი ბრალად წაყენებულ დანაშაულში ცნობილი იქნა ნაწილობრივ დამნაშავედ, ნაწილობრივ კი გამართლებულ იქნა. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო მსჯავრდების ნაწილში მისთვის სასჯელი არ დაუკისრებიათ.

9. 2006 წ. 11 აგვისტოს განაჩენი ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წ. 23 ოქტომბერს, ხოლო უზენაესმა სასამართლომ 2007 წ. 15 მაისს.

10. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მომჩივანს, რომელიც ეროვნებით სომეხია. ქართული ენის არცოდნის გამო, სასამართლო წარმოების განმავლობაში მას დახმარებას უწევდნენ ქართულენოვანი ადვოკატი და თარჯიმანი. სამართალი

## I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის სავარაუდო დარღვევა

11. კონვენციის მე-6 მუხლზე (§1) დაყრდნობით, მომჩივანმა გაასაჩივრა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების შედეგი და ხანგრძლივობის. აღნიშნული მუხლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

„პირის წინააღმდეგ ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების განხილვისას... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ“

12. მთავრობამ, აღიარებდა რა იმის შესაძლებლობა, რომ 2001 წ. 12 ივლისიდან 2005 წ. 18 იანვრამდე პერიოდის განმავლობაში ხელისუფლების უმოქმედობის გამო დაირღვა ზემოაღნიშნული დებულება, საჩივარა, რომ კონვენციის 35-ე მუხლის (§1) მიხედვით, საჩივარი აღნიშნული პერიოდიდან ექვს თვეზე მეტი ხნის შემდეგ იქნა შეტანილი და შესაბამისად დაგვიანებით იქნა წარდგენილი სასამართლოს წინაშე.

13. ზემოაღნიშნულ არგუმენტზე საპასუხოდ, მომჩივანი იცავდა საკუთარ პოზიციას.

## ა. მისაღებობა

### 1. სასამართლო წარმოების შედეგთან დაკავშირებით

14. მომჩივანი ექვეყნულ აყენებს სასამართლო წარმოების შედეგს და სთხოვს სასამართლოს, იმოქმედოს, როგორც „მეოთხე ინსტანციის“ სააპელაციო სასამართლო. თუმცა, სასამართლო იმეორებს, რომ უპრიანია წარდგენილი მასალების საქმის საკითხებთან შესაბამისობის შეფასება და არსებითი და პროცედურული სამართლის წესების განმარტება და გამოყენება ადგილობრივმა სასამართლოებმა განახორციელონ (სხვა წყაროთა შორის, იხ. Rizhamadze v. Georgia, no. 2745/03, § 21, 31 July 2007; Gurepka v. Ukraine, no. 61406/00, § 45, 6 September 2005). იმდენად, რამდენადაც შესაბამისი ადგილობრივი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებში არ ჩანს რაიმე აშკარად თვითნებური დასაბუთება (იხ. საპირისპიროდ, Donadze v. Georgia, no. 74644/01, § 32, 7 March 2006), სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის საჩივარის ეს ნაწილი მე-6 მუხლის (§1) შესაბამისად აშკარად დაუსაბუთებელია და უნდა იქნას უარყოფილი კონვენციის 35-ე მუხლის (§§ 3 და 4) შესაბამისად.

### 2. სასამართლო წარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით

15. სასამართლო იმეორებს, რომ პერიოდი, რომლის მიხედვითაც ხდება სასამართლო წარმოების „გონივრული ხანგრძლივობის“ დადგენა, არ შემოიფარგლება უმოქმედობის კონკრეტული პერიოდით, არამედ მოიცავს აღნიშნული სასამართლო წარმოების მთლიან ხანგრძლივობას, აღძვრის მომენტიდან სისხლის სამართლის ბრალდების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (სხვა წყაროთა შორის, იხ. Pélissier and Sassi v. France [GC], no. 25444/94, §§ 66 and 73, ECHR 1999-II). წინამდებარე საქმეში კი ეს პერიოდი დაიწყო 2000 წ. 20 ივლისს და დასრულდა 2007 წ. 15 მაისს (იხ. §§ 5 და 6 ზემოთ). მოცემული საჩივარი შეტანილ იქნა 2005 წ. 29 სექტემბერს, ამდენად უარყოფილი უნდა იქნას მთავრობის პროტესტი ექვსთვიანი ვადის დარღვევასთან დაკავშირებით.

16. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის (§3) თანახმად. ის ასევე აღნიშნავს, რომ საჩივარი არ არის დაუშვებელი არც რაიმე სხვა საფუძველით და ამდენად, უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

## ბ. არსებითი მხარე

17. წინამდებარე საქმეზე სისხლის სამართალწარმოება მიმდინარეობდა 6 წ., 9 თვისა და 25 დღის განმავლობაში სამ ინსტანციაში (იხ. §15). ამ პერიოდის

გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებების და შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: საქმის სირთულე, განმცხადებლის და შესაბამისი ორგანოების მოქმედება (იხ. ზევით ციტირებული *Pélissier and Sassi*, §67).

18. სასამართლოს საქმეებში, სადაც წამოჭრილი იყო წინამდებარე საქმის მსგავსი საკითხები, ხშირად აღმოუჩენია კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევის შემთხვევები (იხ. ზემოთ ციტირებული *Pélissier and Sassi*).

19. განიხილა რა მისთვის წარდგენილი მთელი მასალები, სასამართლოს მიჩნია, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე ფაქტი ან არგუმენტი, რომელიც დაარწმუნებდა სასამართლოს, გამოეტანა განსხვავებული დასკვნა წინამდებარე საქმეზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ არ განუმარტავს და ამდენად არ დაუსაბუთებია პირველ ინსტანციაში 2001 წ. 12 ივლისიდან 2005 წ. 18 იანვრამდე სასამართლო წარმოების გაჭიანურება (შეად. cf. *Klyakhin v. Russia*, no. 46082/99, § 94, 30 November 2004). აღნიშნულ საკითხზე პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულ საქმეში სასამართლო წარმოების პერიოდი იყო მეტისმეტად ხანგრძლივი და არ აკმაყოფილებდა „გონივრული ვადის“ მოთხოვნას.

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას.

## **II. კონვენციის სხვა მუხლების სავარაუდო დარღვევა**

20. გამნცხადებელმა მოიხმო კონვენციის 1-ლი მუხლი და მე-7 ოქმის მე-2 მუხლი რაიმე სათანადო განმარტების წარმოდგენის გარეშე. კონვენციის მე-5(1)(გ) მუხლის საფუძველზე, იგი ექვემდებარება პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ წინა-სასამართლო დაკავების მართლზომიერებასა და ხანგრძლივობას. მოხმობილი იყო კონვენციის მე-6(3)(ა) და (ე) მუხლები იმ სავარაუდო გარემოების მხილებისათვის, რომ მომჩივანს არ შეეძლო მთელი რიგი ქართულ ენაზე შედგენილი ოფიციალური დოკუმენტების წაკითხვა, ასევე სასამართლო სხდომებში მონაწილეობის მიღება. დაბოლოს, კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი ასაჩივრებდა ზოგადად ადგილობრივი სასამართლო სისტემის არაეფექტურობას და აცხადებდა, რომ სისხლის სამართალწარმოების გაჭიანურება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ის ეთნიკური სომეხი იყო.

21. მიუხედავად ამისა, მის ხელთ არსებული მთელი მასალის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის ზემოაღნიშნული მოსაზრება არ მიუთითებს კონვენციით ან მისი ოქმებით განსაზღვრული უფლებების და თავისუფლებების დარღვევის რაიმე ფაქტზე.

22. აქედან გამომდინარე, განცხადების ეს ნაწილი უნდა გამოცხადდეს დაუშვებლად აშკარად დაუსაბუთებლობის საფუძველზე, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად.

### III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

#### 23. კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

#### ა. ზიანი

24. მომჩივანმა მოითხოვა 1,131,972 ევრო, მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

25. მთავრობამ გააპროტესტა აღნიშნული მოთხოვნა.

26. რაც შეეხება სავარაუდო მატერიალურ ზიანს, სასამართლო აცხადებს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია მისი მოთხოვნის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, შესაბამისად, სასამართლო უარყოფს ამ მოთხოვნას. თუმცა, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივანს მიადგებოდა გარკვეული მორალური ზიანი გაჭიანურებული სასამართლო წარმოების გამო. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, და მიაკუთვნებს მას 1 000 ევროს ამ საფუძველზე.

#### ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

27. მომჩივანს არ მოუთხოვია რაიმე სახის ხარჯების ანაზღაურება. შესაბამისად, სასამართლო ამ მხრივ მას ანაზღაურებას არ ანიჭებს.

გ. პროცენტი დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში

28. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში დასარიცხი პროცენტის დაფუძნება ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთზე, რასაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

#### ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს საჩივარის ნაწილს პროცესის გადაჭარბებული ხანგრძლივობის შესახებ მისაღებად, ხოლო საჩივარის დანარჩენ ნაწილს - დაუმშვებლად;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას.

### 3. ადგენს, რომ

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს, კონვენციის 44-ე მუხლის (§2) შესაბამისად გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში მოპასუხე სახელმწიფოში გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში უნდა გადაუხადოს 1 000 ევრო (ათასი ევრო), ისე, როგორც ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლებელია დაეკისროს მორალური ზიანისათვის;

(ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

4. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით, 2009 წ. 16 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის (§§ 2 და 3) შესაბამისად.

სალი დოლე  
განმწესრიგებელი

ფრანსუაზ ტულკენსი  
თავმჯდომარე